სე - ჭყურელზე 1

შეთანხმება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და ინდივიდუალური საწარმო „გონელი მანია"-ს შორის 2014 წლის 02 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №284 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

№ 7/284 01 08 14 2

ქ. ზუგდიდი *01 აგვისტო, 2014 წელი*

ერთის მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური საწარმო „გონელი მანია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ინდ. მეწარმის გონელი მანიას სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს შესახებ და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტეტების შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების საფუძველზე, „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №363 დადგენილების შესაბამისად, ზუგდიდის ახალი მუნიციპალიტეტისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების გადანაწილებასთან დაკავშირებით, უფლებამონაცვლე ახალი მუნიციპალიტეტის დასახელების, ხელმოწერეზე უფლებამოსილი პირის, საგადასახადო და საბანკო რეკვიზიტების გათვალისწინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და ინდივიდუალური საწარმო „გონელი მანია"-ს შორის 2014 წლის 02 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №284 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება") შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

   ა) შეიცვალოს ხელშეკრულების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

   - ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ, ***ინდივიდუალური საწარმო „გონელი მანია"*** (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ინდ. მეწარმის გონელი მანიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე.

   ბ) შეიცვალოს ხელშეკრულების მე-17 მუხლის 17.2 პუნქტში მოცემული ინსპექტირების ჯგუფის წევრთა შემადგენლობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   - *პუნქტი 17.2* – ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: – ვლადიმერ გვილია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსი; - მურმან ბოკუჩავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების

განყოფილების მთავარი სპეციალისტი; - ლეონტი ფაჟავა - მშენებლობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

გ) ხელშეკრულებაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რეკვიზიტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, საიდენტიფიკაციო ნომერი: 220416967, მომსახურე ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი," საბანკო ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000, ბანკის კოდი: LBRTGE22.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან," ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს."
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	*ინდივიდუალური საწარმო „გონელი მანია"*
იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90	იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ზუგდიდი, სტალინის ქ. №42
საინდენტიფიკაციო კოდი: ***220416967***	საიდენტიფიკაციო კოდი: **19001017167**
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი"	საბანკო რეკვიზიტები: სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: CAVOGE22
ანგარიშის ნომერი: GE13LB0120111405438000	ანგარიშის ნომერ: GE17TP0036010020011960
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი:	*ინდ. მეწარმე:*
..... /ე. თოლორაია/	..... /გ. მანია/

GEORGIA ZUGDIDI MUNICIPALITY
გამგეობა
GOVERNMENT
220416967